



კავკასიის უნივერსიტეტი

კავკასიის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	
	ქართული ფილოლოგია

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ინგლისურ ენაზე	
	Georgian Philology

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური	
	ბაკალავრიატი

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი	
	აკადემიური პროგრამა

სწავლების ენა	
	ქართული

მისანიჭებელი კვალიფიკაცია	
ქართულად:	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ქართულ ფილოლოგიაში 100501 240 კრედიტი
ინლისურად:	Bachelor of Humanities in Georgian Philology

შესაბამისი პროგრამის დამტკიცების და განახლების თარიღი	დამტკიცებულია კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის ბრძანებით #01/01-39, 29.11.2017
---	---

--	--

პროგრამის ხელმძღვანელი	ქეთევან ინწკირველი მარიამ მანჯგალაძე (თანახელმძღვანელი)
------------------------	--

ინფორმაცია იხ. "პროგრამის ხელმძღვანელის CV"	დამტკიცებულია კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის ბრძანებით #01/01-40, 30.11.2017
---	---

პროგრამის მოცულობა კრედიტებით

ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს, წელიწადში – 60 ECTS კრედიტს, სემესტრში – 30 ECTS კრედიტს. შესაბამისად, საბაკალავრო პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა შეადგენს 4 წელს. სასწავლო წელი აგებულია სემესტრული პრინციპით. ერთი სემესტრი მოიცავს 21 სასწავლო კვირას, შესაბამისად სასწავლო წელი დაგეგმილია 42 კვირაზე. 1 ECTS კრედიტი უდრის 25 კრ. საათს, რაც მოიცავს, როგორც სტუდენტის საკონტაქტო დატვირთვის დროს (ლექცია, სემინარი, პრაქტიკუმი და სხვა), ასევე მისი დამოუკიდებელი მუშაობის დროს (შუალედური და საბოლოო შეფასებისათვის, აგრეთვე საშინაო დავალების მომზადებისა და პრეზენტაციისათვის განკუთვნილ კრ.საათს).

ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ვადის ამოწურვის შემდეგ აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტს უფლება აქვს საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების მიზნით სწავლა განაგრძოს დამატებითი სემესტრების (არა უმეტეს 4 სემესტრისა) განმავლობაში, სტუდენტის სტატუსის შენარჩუნებით.

ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს, აქედან 190 ECTS კრედიტი ეთმობა სავალდებულო საგნებს, მათ შორის, 25 კრედიტი - ზოგადსაუნივერსიტეტო და სასკოლო სავალდებულო საგნებს, 20 ECTS კრედიტი - ინგლისურ ენას, 145 ECTS კრედიტი - დარგობრივ და პროფესიულ სავალდებულო საგნებს. დარჩენილი 50 ECTS კრედიტი სტუდენტმა უნდა დააგროვოს არჩევითი კრედიტების სახით, რომელიც შეუძლია ამოირჩიოს 125 ECTS კრედიტიდან.

სასწავლო გეგმით გათვალისწინებული 240 ECTS კრედიტის ფარგლებში, სტუდენტს ასევე აქვს შესაძლებლობა მაქსიმუმ 20 ECTS კრედიტი (არჩევითი სტატუსის მქონე საგნების ჩანაცვლების ხარჯზე), აითვისოს თავისუფალი კრედიტებით.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

- ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს.
- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობაა ერთიანი ეროვნული გამოცდები.
- ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარებას უზრუნველყოფს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – გამოცდების ეროვნული ცენტრი. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის ზოგადი წესიდან გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევაში.
- სხვა უმაღლესი სასწავლებლიდან სტუდენტის კავკასიის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლაში გადმოსვლის სურვილის შემთხვევაში, საკითხს შეისწავლის და საბოლოო გადაწყვეტილებას ღებულობს საბაკალავრო პროგრამის დირექტორი და სკოლის დეკანი, მათ მიერ შეთანხმებული შესაბამისობის საფუძველზე, სტუდენტის ჩარიცხვა ხორციელდება უნივერსიტეტის პრეზიდენტის ერთიანი ბრძანებით.

ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

<p style="text-align: center;">საბაკალავრო პროგრამის მიზანი</p>	<p>ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ცოდნისა და პროფესიული უნარის მქონე სპეციალისტების მომზადება ქართულ ფილოლოგიაში. პროგრამის ფარგლებში ქართული ფილოლოგიის ძირითადი საკითხების შესწავლა მოხდება კაცობრიობის სულიერი კულტურის, მსოფლიოს სხვადასხვა ხალხების ენისა და ლიტერატურის საკითხებთან ინტეგრირებულად, რაც სტუდენტებს ანალიტიკური აზროვნების და კრიტიკული ხედვის უნარებს გამოუმუშავებს და საშუალებას მისცემს ქართული ენისა და ლიტერატურის საკვანძო საკითხები გლობალურ კონტექსტში, მსოფლიოში მიმდინარე პროცესების ფონზე გაიაზრონ.</p> <p>უფრო კონკრეტულად კი ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზანია, სტუდენტს მისცეს მეცნიერული ცოდნა ქართული და მსოფლიო ლიტერატურის მხატვრულ-ესთეტიკური, ისტორიულ-შემეცნებითი პროცესების საკვანძო საკითხებზე; განუვითაროს ნაწარმოების ანალიზისა და კრიტიკული შეფასების უნარი; გააცნოს ლიტერატურული პროცესები მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის კონტექსტში; შეასწავლოს ქართული ენის სტრუქტურა და ენათმეცნიერული თეორიები; განუვითაროს ლინგვისტური წყაროების ანალიზის უნარი; შეასწავლოს კლასიკური ენების საფუძვლები.</p> <p>სასწავლო პროგრამის სტრუქტურა გულისხმობს სავალდებულო და არჩევითი საგნების იმგვარ შეთავაზებას, რომ უზრუნველყოფილ იქნას ერთის მხრივ, კონკრეტული დარგის შესაბამისი ცოდნის და უნარ-ჩვევების სრული მოცულობით ათვისება, მეორე მხრივ კი არჩევითი საგნების იმგვარად შედგენილი ბლოკის შეთავაზება, რომ მაქსიმალურად დაკმაყოფილდეს თითოეული სტუდენტის პროფესიული ინტერესი და საფუძველი შეექმნას მის პრაქტიკულ თუ სამეცნიერო საქმიანობას მომავალში.</p> <p>ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს შესძინოს ფართო თეორიული ცოდნა აღნიშნული დარგის ძირითადი თავისებურებების, პრინციპების, ფასეულობებისა და ღირებულებების, აგრეთვე თანამედროვე ფილოლოგიური მეცნიერების განვითარების სამომავლო ტენდენციების შესახებ.</p>
<p style="text-align: center;">საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგი</p>	<p>ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული შეიძენს ზოგად და დარგობრივ კომპეტენციებს.</p> <p>ცოდნა და გაცნობიერება: აქვს სფეროს ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას, სფეროს კომპლექსური საკითხების გაცნობიერებას:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ სტუდენტი იცნობს ფილოლოგიის, როგორც ჰუმანიტარული მეცნიერებების ერთ-ერთი დარგის საფუძვლებს, ფუნდამენტურ პრინციპებს, ღირებულებებს და კვლევის მეთოდებს; ➤ სტუდენტმა იცის ქართული ფილოლოგიის ძირითადი სამეცნიერო საკითხები, იცის ქართული ენისა და ლიტერატურის ისტორია და მათი განვითარების საკვანძო ეტაპები; ➤ აქვს ქართული ენის მორფოლოგიის, სინტაქსის, ლექსიკოლოგიის და

სტილისტიკის შესახებ ფართო თეორიული ცოდნა.

- ფლობს ენათმეცნიერული კვლევის აუცილებელ ინსტრუმენტებს;
- აქვს ტექსტის კვლევის აუცილებელი საბაზისო ცოდნა;
- იცნობს თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურის განვითარების ტენდენციებსა და თავისებურებს;
- აცნობიერებს ქართული ენისა და ლიტერატურის მიმართებას მსოფლიოში მიმდინარე ლიტერატურულ პროცესებთან როგორც ისტორიულ წარსულში, ისე დღევანდელობაში.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება: კურსდამთავრებულს შეუძლია სფეროსთვის დამახასიათებელი და ასევე ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენება. კვლევითი ან პრაქტიკული პროექტის გაანხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითების შესაბამისად.

- შეუძლია ტექსტის კვლევის საბაზისო მეთოდების პრაქტიკაში გამოყენება;
- შეუძლია ქართული ლიტერატურის გააზრება მსოფლიო ლიტერატურული აზროვნების კონტექსტში;
- შეუძლია ლიტერატურული კრიტიკისა და მეთოდების გამოყენება კონკრეტულ ლიტერატურულ ნაწარმოებთან დაკავშირებით;
- შეუძლია ლინგვისტური კვლევის მეთოდების პრაქტიკაში დანერგვა და გამოყენება;
- აქვს პროექტებში ჩართვის უნარი;
- აქვს პრობლემების გადაწყვეტის უნარი.

დასკვნის უნარი: სფეროსთვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და განმარტება. ასევე სიტუაციების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით

- სტუდენტს შეუძლია მტკიცებულებებზე დაფუძნებული, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება.
- აქვს კრიტიკული კითხვისა და ანალიტიკური წერის უნარი.
- საკვლევ საკითხებზე სწორი, ლოგიკური მსჯელობის და დასკვნის ჩამოყალიბების უნარი.
- აქვს ლიტერატურული ნაწარმოების ანალიზის, კრიტიკული შეფასების, კომენტარებისა და ინტერპრეტაციების უნარი.

კომუნიკაციის უნარი: იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება, ინფორმაციის ზეპირად გადაცემა, თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება.

- შეუძლია საკუთარი იდეების, მოსაზრებების, აკადემიური ნაშრომის წარდგენა აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან როგორც წერითი, ასევე ზეპირი ფორმით.
- შეუძლია ეფექტური კომუნიკაციისათვის თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება და სოციალური ქსელების მეშვეობით ინფორმაციის მოძიება და გავრცელება;
- აქვს შეხვედრებში, დისკუსიებსა და დებატებში ეფექტური მონაწილეობის უნარი.

სწავლის უნარი: შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება.

- მასალების დამუშავება და ანალიზი;
- დროისა და სასწავლო რესურსების ეფექტური მართვა;
- საკუთარი სწავლის პროცესის წარმართვა და დაგეგმვა;
- საკუთარ საქმიანობაზე რეფლექსია და საჭირო მასალების დამუშავება და ანალიზი.

	<p>ღირებულებები: შეუძლია ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა.</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ სტუდენტი ტოლერანტულად ეკიდება განსხვავებულ ეროვნულ და კულტურულ ფასეულობებს; ➤ პატივს ცემს განსხვავებულ აზრს; ➤ აქვს სხვათა მეცნიერული მიგნებისა და მიღწევის პატივისცემის უნარი; ➤ გააჩნია ზოგადი და პროფესიული ეთიკის დაცვის ვალდებულების შეგნება.
<p>დასაქმების სფეროები და სტატისტიკური მაჩვენებლები</p>	<p>ქართული ფილოლოგიის პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს განათლების, საგანმანათლებლო, სარედაქციო, საარქივო და საბიბლიოთეკო სფეროებში, საჯარო და არასაჯარო სექტორში, ბეჭდურ, ციფრულ და ტელე-ჟურნალისტიკაში, სარეკლამო და საზოგადოებრივი ურთიერთობების სფეროში.</p>
<p>სწავლის გაგრძელების საშუალება</p>	<p>ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს უფლება აქვს სწავლა განაგრძოს სამაგისტრო პროგრამაზე, კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.</p>

<p>სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა</p>	
<p>ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით შემოთავაზებული სასწავლო კურსების დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.</p> <p>განვლილი სასწავლო კურსის პროგრამით გათვალისწინებული საკითხების ათვისება შეფასებული იქნება 100 ქულიანი სისტემით, რომელიც სასწავლო პროცესში ჩართული კომპონენტების წილისგან შედგება.</p> <p>სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით ითვალისწინებს:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ მიმდინარე შეფასებებს; ➤ დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას; ➤ შუასემესტრულ შეფასებას; ➤ საბოლოო გამოცდის შეფასებას. <p>სტუდენტების ცოდნის შეფასებისათვის გამოიყენება როგორც ზეპირი, ასევე წერიტი (ტესტი, ღია კითხვები, ესე და ა.შ) გამოკითხვა. აუცილებელი მოთხოვნაა საშინაო დავალების მომზადება და მისი პრეზენტაცია. შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი ასახული იქნება კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.</p> <p>შეფასების სისტემა უშვებს:</p> <p>ხუთი სახის დადებით შეფასებას:</p> <p>(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;</p> <p>(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;</p> <p>(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;</p> <p>(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;</p> <p>(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.</p> <p>ორი სახის უარყოფით შეფასებას:</p> <p>(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;</p> <p>(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.</p> <p>უნივერსიტეტში დადგენილი შეფასების სისტემის მიხედვით, სასწავლო კომპონენტებში მოქმედებს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რომელიც განხვავდება სწავლების წლის მიხედვით.</p> <p>სწავლების პირველ წელს, შუალედური და დასკვნითი შეფასების ორივე ფორმაში დადგენილია 51%-იანი</p>	

მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. სტუდენტმა, შუალედურ შეფასებებში, ჯამურად უნდა დააგროვოს 70 ქულის 51%, რომ მოიპოვოს დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება. სტუდენტს დასკვნითი გამოცდა ეთვლება ჩაბარებულად, თუ მან მიიღო 30 ქულის 51% ან მეტი. დასკვნით შეფასებაში 51%-ზე ნაკლები ქულის მიღების შემთხვევაში, დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად არ ითვლება.

სწავლების დანარჩენ ეტაპებზე, როგორც შუალედურ შეფასებათა ჯამურ კომპონენტში, ასევე დასკვნით კომპონენტში, მოქმედებს 60%-იანი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. სტუდენტმა, შუალედურ შეფასებებში, ჯამურად უნდა დააგროვოს 70 ქულის 60 %, რომ მოიპოვოს დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება. სტუდენტს დასკვნითი გამოცდა ეთვლება ჩაბარებულად, თუ მან მიიღო 30 ქულის 60% ან მეტი. დასკვნით შეფასებაში 60%-ზე ნაკლები ქულის მიღების შემთხვევაში, დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად არ ითვლება.

სწავლის თითოეულ ეტაპზე, სტუდენტს დასკვნით გამოცდაზე ხელახლა გასვლის უფლება ეძლევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ, დასკვნით გამოცდამდე დაგროვილი შუალედური შეფასებების ჯამური ქულა მინიმუმ 41-ის ტოლია.

სწავლებისა და სწავლის მეთოდები

სწავლის პროცესში, კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოყენებულ იქნება სწავლების ისეთი მეთოდები, როგორებიცაა ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, წერითი მუშაობის მეთოდი, დისკუსია/დებატები, ჯგუფური მუშაობა, შემთხვევის ანალიზი, გონებრივი იერიში, დემონსტრირების მეთოდი, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი და სხვ. სწავლება-სწავლის პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებენ და ერთმანეთში გადადიან. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახული იქნება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

შესაბამისი პროგრამის განხორციელებაში მონაწილე პირები

ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს:

- 6 პროფესორი
- 4 ასოცირებული პროფესორი
- 24 მოწვეული სპეციალისტი

ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სხვა რესურსები

კავკასიის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები საქართველოსა და უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებთან, აგრეთვე სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

პარტნიორი უმაღლესი სასწავლებლები:

- ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი (საქართველო);
- შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (საქართველო);
- ვარშავის უნივერსიტეტი „Collegium Civitas“ (პოლონეთი)
- ადამ მიცკევიჩის პოზნანის უნივერსიტეტი (პოლონეთი)
- ტალინის ტექნოლოგიების უნივერსიტეტი (ესტონეთი)
- კიბის საერთაშორისო უნივერსიტეტი (იაპონია)

სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები:

- ა.ი.პ ინფორმაციული საზოგადოების განვითარების ინსტიტუტი
- მწერალთა სახლი

- ა(ა)იპ იკომის საქართველოს ეროვნული კომიტეტი
- სპს ზოგადსაგანმანათლებლო კერძო სკოლა-ლიცეუმი „ნუნუ ბეიტრიშვილი პრომეთე“
- სსიპ თბილისის 212-ე საჯარო სკოლა
- შპს „ახალი ლიცეუმი“
- შპს „კვირის პალიტრა“
- ნატო-ს შესახებ საინფორმაციო ცენტრი
- შპს „ტელეიმედი“

სწავლება-სწავლის პროცესში გამოიყენება სხვადასხვა მეთოდები, რომლებიც ავსებენ ერთმანეთს და უზრუნველყოფენ შედეგის მიღწევას, უნივერსიტეტის დიდაქტიკური კონცეფციისა და სკოლის სპეციფიკის გათვალისწინებით გამოიყენება შემდეგი სახის მეთოდები:

- ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი.
- წიგნზე მუშაობის მეთოდი.
- დემონსტრირების მეთოდი
- პრაქტიკული მეთოდები მეცადინეობა კლასში / კლასგარეთ
- დისკუსია/დებატები
- ჯგუფური (collaborative) მუშაობა
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)
- ახსნა-განმარტებითი მეთოდი
- შემთხვევის ანალიზის (Case study) მეთოდი,
- ანალიზის მეთოდი,
- სინთეზის მეთოდი და სხვა.

სწავლება-სწავლის პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებენ და ანაცვლებენ. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

პროგრამის სასწავლო კურსები

სასწავლო კურსის დასახელება	სასწავლო კურსის აღწერა	სავალდებულო/ არჩევითი	ECTS კრედიტი	სწავლების სემესტრი
საქართველოს ისტორია	საქართველოს ისტორიის სასწავლო კურსი მოიცავს ჩვენი სამშობლოს ისტორიას უძველესი დროიდან დღევანდელ დღემდე. იგი წარმოადგენს ლექციების ადაპტირებულ კურსს, სადაც განხილულია როგორც ზოგადი საკითხები - ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა, ბუნებრივი გარემო, მოსახლეობა, ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა, ქართველების ეთნოგენეზი და ქართული ენის ადგილი მსოფლიოს ხალხთა ენებს შორის, ასევე ძირითადი საკითხები - ქართველი ხალხის (ზოგჯერ, მისი მეზობელი, ან მის წარსულთან დაკავშირებული სხვა ხალხების) პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული წარსულის ძირითადი, უმთავრესი ფაქტები. სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტს მისცეს თეორიული ცოდნა საქართველოს ისტორიის პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიკური და კულტურული წარსულის ძირითადი, უმთავრესი მოვლენების შესახებ.	სავალდებულო	5	I
მსოფლიო ცივილიზაციის ისტორია	სასწავლო კურსი მსოფლიო ცივილიზაციის ისტორია ანალიტიკური და კრიტიკული სწავლების ელემენტების საშუალებით სტუდენტებს შეასწავლის კაცობრიობის არსებობის მანძილზე მისი საქმიანობის ძირითად სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ასპექტებს. ეს კურსი დიდ დატვირთვას იძენს თანამედროვე ეტაპზე, როცა სულ უფრო თვალსაჩინო ხდება მსოფლიოში მიმდინარე პროცესების გლობალური ურთიერთკავშირი, განსაკუთრებულად აქტუალურია მსოფლიო ცივილიზაციის ისტორიის გააზრება და მასში ცალკეული ქვეყნების თუ ხალხების ადგილის განსაზღვრა, ცივილიზაციური მოდელების შექმნა. კაცობრიობის არსებობის მანძილზე ადამიანის მიერ შექმნილი სულიერი და ნივთიერი ღირებულებების ერთობლიობა წარმოადგენს ჩვენი შესწავლის საგანს.	სავალდებულო	5	I
საინფორმაციო ტექნოლოგიები	კურსი უზრუნველყოფს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საფუძვლების შესწავლას, ორიენტირებულია პრაქტიკულ შედეგზე და მოიცავს შემდეგ თემებს: <ul style="list-style-type: none"> • ინფორმაცია, ინფორმაციის საზომი ერთეულები • კომპიუტერის არქიტექტურა, • ოპერაციული სისტემა, • ინტერნეტ-ტექნოლოგიები, საოფისე პროგრამები.	სავალდებულო	5	I

აკადემიური წერა	აკადემიური წერის კურსი გულისხმობს სტუდენტებისთვის იმ საბაზისო ცოდნისა და უნარების მიცემას, რომელიც აუცილებელია აკადემიური ნაშრომის მოსამზადებლად. კურსი მოიცავს აკადემიური წერის ძირითად ელემენტებს და პრინციპებს თანამედროვე მეთოდებისა და სტანდარტების გათვალისწინებით. კურსის მსვლელობისას სტუდენტები გაიცნობენ აკადემიური წერის არსსა და საჭიროებას; ისწავლიან თუ რა ტიპის აკადემიური ნაშრომები არსებობს, რა სტრუქტურული ელემენტებისგან უნდა შედგებოდეს ისინი და რა ფორმატით უნდა იყოს წარმოდგენილი და, ზოგადად, რა სტანდარტებს უნდა აკმაყოფილებდეს ისინი. განხილული იქნება აკადემიური ნაშრომის ძირითადი არგუმენტის შეკვირვის პრინციპი და აზნაცის აგების პრინციპები. რამდენადაც კურსი საბაკალოვრო პროგრამის ნაწილია და ამ საფეხურზე სტუდენტები არ წერენ დიდი მოცულობის აკადემიურ ნაშრომს (მაგ.: დისერტაცია, სამეცნიერო სტატია და ა.შ.), ძირითადი ყურადღება დაეთმობა ესეს (არგუმენტირებული) წერას. ამასთანავე ყურადღება გამახვილდება ქართული ენის მართლწერის საკითხებზე და ასევე პრობლემურ გრამატიკულ თუ სტილისტურ ასპექტებზეც. ყურადღება გამახვილდება აკადემიური სტილის დაცვის საკითხებზე, წყაროების მითითების სათანადო წესებსა და ა.შ.	სავალდებულო	5	I
თანამედროვე აზროვნების საფუძვლები	კურსის განმავლობაში ყურადღება დაეთმობა ტექსტების სიღრმისეულ ანალიზს; მიმდინარე მსოფლმხედველობითი პარადიგმის ცვლილების პროცესს; უახლეს მოძღვრებებს ზოგადადამიანური პრობლემებისა და სიცოცხლის საზრისის ძიების კონტექსტში; პოლიტიკის, ეკონომიკის, მეცნიერების, რელიგიისა და ესტეტიკის ტრანსდისციპლინარულ ურთიერთმიმართებებს ამჟამინდელ პოსტმოდერნისტულ ეპოქაში; ადამიანის თავისუფალი არჩევანის, ნების მნიშვნელობის უპირატესობის გააზრებას. ადამიანის თავისუფალი არჩევანის, ნების მნიშვნელობის უპირატესობის გააზრებას.	სავალდებულო	5	II
ზოგადი ინგლისური B1.0	მოცემული სალექციო კურსი წარმოადგენს უცხო ენის პრაქტიკული კურსს. ეს სემესტრი, ერთის მხრივ, ემსახურება გასული ეტაპების გავლის პერიოდში ჩამოყალიბებული პრაქტიკული თუ თეორიული უნარ-ჩვევების გამყარება-გაღრმავებას, მეორე მხრივ კი ქმნის საფუძველს რიგი კომპეტენციების შესაძენად, რომლებიც მომავალი პროფესიული აქტივობისათვის საჭირო სპეციფიურ მოთხოვნებზე იქნება ორიენტირებული. მოცემული სალექციო კურსისა და მეორე სემესტრის სალექციო კურსის წარმატებული გავლის შემთხვევაში კურსდამთავრებულს ექნება სათანადო ენობრივი კომპეტენცია იმისათვის რომ აიღოს B1 დონის დამადასტურებელი სერთიფიკატი.	სავალდებულო	5	I

	<p>გრამატიკა: ინგლისური ენის დროთა სისტემა – აწმყო, წარსული და მომავალი დროები. სტატიკური და დინამიური ზმნები. სრული დროების შეპირისპირება განუსაზღვრელ დროებთან. დროის მარკერები. მომავალი მოქმედების გამოხატვის საშუალებები ინგლისურ ენაში. მოდალური ზმნები. განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადებები. ზმნის ინფინიტივური და გერუნდიული ფორმები. ზედსართავთა რიგითობა ინგლისურ ენაში. ხოლმეობითობის გამოხატვის საშუალება ინგლისურ ენაში (<i>used to</i>). ძახილის წინადადებები. კავშირები. პირობითი წინადადებების სამი ტიპი.</p> <p>ლექსიკა: შედგენილი ზედსართავი სახელები; არსებითი და ზედსართავი სახელების მაწარმოებელი სუფიქსები და პრეფიქსები; წინდებულის გამოყენება ზედსართავი სახელების შემდეგ; სხეულის ნაწილებთან დაკავშირებული იდიომები. არსებითი სახელებისა და ზმნების ფიქსირებული წყვილები. იდიომები; ლათინური და სხვა ევროპული ენებდან შემოსული სიტყვები;</p> <p>განსახილველი თემები: მოდის სამყარო; გრძნობები და განწყობა; დასაქმება, გენდერული თანასწორობა; ოფიციალური წერილისათვის დამახასიათებელი სტილი; ადამიანის სხეული და ჯანმრთელობა; ინფორმაციული ტექნოლოგიები. ეკოლოგიური პრობლემები. მამები და შვილები; სიყმაწვილე; გუნდური მუშაობა; უცხო ქვეყანაში ჩასვლით განცდილი კულტურული შოკი; აუდიტორიის წინაშე გამოსასვლელი სიტყვის მომზადება.</p>			
B1 ზოგადი ინგლისური	<p>მოცემული სალექციო კურსი წარმოადგენს უცხო ენის პრაქტიკული კურსს. ეს სემესტრი, ერთის მხრივ, ემსახურება გასული ეტაპების გავლის პერიოდში ჩამოყალიბებული პრაქტიკული თუ თეორიული უნარ-ჩვევების გამყარება-გაღრმავებას, მეორე მხრივ კი ქმნის საფუძველს რიგი კომპეტენციების შესაძენად, რომლებიც მომავალი სპეციალისტის პროფესიული აქტივობისთვის საჭირო ენობრივ მოთხოვნებზე იქნება ორიენტირებული.</p> <p>მოცემული სალექციო კურსი პირველი სემესტრის სალექციო კურსის ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს და მისი წარმატებულად გავლის შედეგად კურსდამთავრებულს ექნება სათანადო ენობრივი კომპეტენცია, იმისთვის რომ აიღოს B 1 დონის დამადასტურებელი სერთიფიკატი.</p> <p>განსაკუთრებული აქცენტი კეთდება აზრის წერილობითი ფორმით ჩამოყალიბების უნარის გამომუშავებასა და თემატურად რთული, მოცულობითი მასალის კითხვის უნარ-ჩვევების შექმნაზე, ასევე აზრის ზეპირი ფორმით გადმოცემის უნარის დახვეწა-გაძლიერებასა და სხვათა გაბმული მეტყველების გაგებაზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ლექსიკური მარაგის გამდიდრება; იწყება მუშაობა დერივატივებისა და</p>	სავალდებულო	5	II

	<p>კომპოზიტების წარმოებასა და გამოყენებაზე, ასევე ფრაზეოლოგიზმების საბაზისო მარაგის შექმნაზე. ლექსიკური მარაგი დაახლოებით 2000 სიტყვაა.</p> <p>გრამატიკა: ირიბი ნათქვამი; (ოთხივე საკომუნიკაციო ტიპი); მოდარული ზმნები; ზედსართავთა შედარების ხარისხები; აწმყო სრული დრო; ვნებითი გვარი; მიმართებითი ნაცვალსახელები; კოზატიური ზმნები; მიმდებარებითი კონსტრუქციები; ფრაზეოლოგიური ზმნები;</p> <p>თემატიკა და ლექსიკა: სახლი და ბაღი; ადამიანთა შორის არსებული ურთიერთობები (სიყვარული და ქორწინება); მგზავრობა და მოგზაურობა; ფული და ფინანსები; ხელოვნება და ხელოვანები. კაცობრიობის მომავალი; მეცნიერება და საზოგადოება; გენიალური იდეები; სამსახურებრივი აპლიკაციის ფორმა; ლათინური და სხვა ევროპული ენებიდან შემოსული ლექსიკური ერთეულები;</p>			
B2.0 ზოგადი ინგლისური	<p>მოცემული სალექციო კურსი წარმოადგენს უცხო ენის პრაქტიკული კურსის მეშვიდე ეტაპს. იგი აქცენტირებულია, ერთის მხრივ, რეცეპტიული (კითხვა, მოსმენა) უნარ ჩვევის დახვეწაზე და, მეორე მხრივ, ლექსიკური მარაგის გაფართოებაზე, რაც კურსდამთავდებულს საშუალებას მისცემს გაიგოს და დამოუკიდებლად შეიმუშავოს კომპლექსური ტექსტები. კურსის ფარგლებში სტუდენტი ხვეწს სამეტყველო უნარ-ჩვევებს. მოცემული კურსი ქმნის წინაპირობას B2 დონის (შეფასების ზოგადევროპული ერთიანი ჩარჩო) შესაბამისი სასერტიფიკატო გამოცდის ჩასაბარებლად აუცილებელი ენობრივი კომპეტენციის შესაძენად.</p> <p>გრამატიკა: ინგლისური ენის დროთა სისტემა (გამოორება/შეჯამება); სტილისტური ინვერსია; ზედსართავი ხარისხების შედარების ხარისხები; არტიკლები და სიმრავლის გამომხატველი ზედსართავი სახელები; ზმნის ინფინიტივური და გერუნდიული ფორმები (ზმნები, რომელთა მნიშვნელობაც იცვლება მათთან ინფინიტივისა და გერუნდივის გამოყენების შემთხვევაში); დროის გარემოების დამოკიდებული წინადადებები; მომავალი დროის გამოხატვის საშუალებები; სახელადი ფრაზები; კრებითი არსებითი სახელები; მიზნის გამოხატვის საშუალებები ინგლისურ ენაში; ირიბი ნათქვამი; დროთა შეთანხმების კანონები;</p> <p>ლექსიკა: ძლიერი და ნეიტრალური ზედსართავი სახელები; ფულთან დაკავშირებული იდიომატური გამოთქმები; ფრაზული ზმნები; ზედსართავ სახელთა წარმოება (სუფიქსაცია/პრეფიქსაცია); ცხოველებთან დაკავშირებული იდიომატური გამოთქმები; აბრევიატურები; საგაზეთო ჰედლაინების თავისებურებები ინგლისურ ენაში (დროთა გამოყენების თავისებურება); პრესის ენა (ბრიტანული გამოცემები)</p> <p>ტექსტების თემატიკა: 1. გმირები; ექსტრემალური სიტუაციები/კატასტროფები; საგაზეთო სტატიები; ფული და ფინანსები; მშობლები და შვილები (თაობათა შორის არსებული განსხვავება); ცხოველთა სამყარო; პრესა და პაპარაცები; კრეატიული აზროვნება; „ვორკაჰოლიკები“ და თანამედროვე ბიზნეს გარემო; თანამედროვე მედიცინის მიღწევები; ოლიმპიური თამაშები; მოსმენის კულტურა და ხელოვნება;</p>	სავალდებულო	5	I/III
B2 ზოგადი ინგლისური	<p>მოცემული სალექციო კურსი წარმოადგენს უცხო ენის პრაქტიკული კურსს. კურსი ორიენტირებულია ყველა იმ ენობრივი უნარ-ჩვევის დახვეწა-გადრმავებაზე, რომელიც</p>	სავალდებულო	5	II/IV

	<p>კურსდამთავრებულს ინგლისურენოვან გარემოში / ინგლისური ენის მატარებლებთან სკონტანური და შეუფერხებელი კომუნიკაციის / დისკუსიის საშუალებას მისცემს. მოცემული კურსის გავლის შემდეგ კურსდამთავრებულს ექნება ენობრივ-კომუნიკაციური კომპეტენცია, რათა გაიგოს და, გარკვეული მომზადების შემდეგ - ჩაერთოს მის დარგობრივ სფეროში მიმდინარე დისკუსიაში. მოცემული კურსის წარმატებულად გავლის შემთხვევაში კურსდამთავრებულს ექნება აუცილებელი ენობრივი ცოდნა B2 დონის (შეფასების ზოგადევროპული ერთიანი ჩარჩო) სასერტიფიკატო გამოცდის ჩასაბარებლად.</p> <p>გრამატიკა: მოდალური ზმნები; კითხვითი წინადადებები; ქვემდებარისა და დამატების კითხვები; პირობითი წინადადებების ხუთი ტიპი; ალბათობის გამოხატვის საშუალებები ინგლისურ ენაში; კავშირებითი კილო მოდალურ ზმნებთან; ვნებითი გვარი;</p> <p>ლექსიკა: განსახილველ თემატიკასთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულები; კომპოზიტები; ფრაზული ზმნები; იდიომატური გამოთქმები; ლათინური წარმოშობის სიტყვები; ჟურნალ-გაზეთებსა და მხატვრულ ლიტერატურაში ხშირად გამოყენებული ლექსიკური ერთეულები;</p> <p>თემატიკა: რელიგია; ტელე ვიქტორინები; ცნობილი სატელევიზიო სკანდალები; ადამიანის პირადი ცხოვრება; ეკოლოგიური პრობლემები; საკვები; ტექნოლოგიური მიღწევები; ინტერნეტის დადებითი და უარყოფითი მხარეები; დასაქმება; კოსმოსური ტურიზმი; სტერეოტიპები; ინტერნეტი და ქორწინება; ჭარბწონიანობა და მისი გამომწვევი მიზეზები. თანამედროვე კომუნიკაციები; კითხვის ხელოვნება;</p>			
C1.0 ზოგადი ინგლისური	<p>ინგლისური ენის მოცემული სალექციო კურსი წარმოადგენს უცხო ენის პრაქტიკულ კურსს. ეს სემესტრი, ერთის მხრივ, ემსახურება გასული ეტაპების გავლის პერიოდში ჩამოყალიბებული პრაქტიკული თუ თეორიული უნარ-ჩვევების გამყარება-გაღრმავებას, მეორე მხრივ კი ქმნის საფუძველს ცოდნის გასაღრმავებლად არამართო ევროპული უცხო ენის ფარგლებში, არამედ მთლიანი ევროპული სოციალურ-კულტურული გარემოს კონტექსტში. მოცემული სალექციო კურსი წინა სალექციო კურსის ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს და ორი შემდგომი სემესტრის წარმატებულად გავლის შედეგად კურსდამთავრებულს ექნება სათანადო ენობრივი კომპეტენცია, იმისთვის რომ აიღოს C 1 დონის (შეფასების ზოგადევროპული ერთიანი ჩარჩო) დამადასტურებელი სერტიფიკატი.</p> <p>გრამატიკა: ხოლმეობითობის გამოხატვის თავისებურება (შეჯამება); ფრაზული ზმნები; წარსული დროის ჯგუფის დროები; ზმნის უსრული (infinitives; gerunds, participles) ფორმების (მოქმედებით და ვნებით გვარში) ყველა ფორმა და მათი სინტაქსური ფუნქციები; პირობითი წინადადებები (ხუთივე ტიპი); იმპლიციტური პირობითი წინადადებები; ელიპტური წინადადებები; ზედსართავი სახელებიანი კონსტრუქციები; ყველა დრო მოქმედებით და ვნებით გვარში (შეჯამება); ემოციის გამოხატვის საშუალებები ირიბ ნათქვამში; მოდალური და დამხმარე ზმნები ელიპტურ წინადადებებში; ენის რეგისტრები განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადებების გამოყენებისას; წინდებულის ადგილი განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებაში ენის რეგისტრის</p>	სავალდებულო	5	III/V

	<p>გათვალისწინებით. არტიკლების არსი და მათი გამოყენების თავისებურება (შეჯამება);</p> <p>ლექსიკა: მეტყველების ნებისმიერი ნაწილის მაწარმოებელი პრეფიქსები, სუფიქსები და ინფიქსები; კომპოზიტები; არსებითებისა და ზმნების შესიტყვებები; სინონიმებს შორის არსებული განსხვავება (დენოტაცია/კონოტაცია); იდიომატური გამოთქმები;</p> <p>ფრაზეოლოგიზმები (მათი მნიშვნელობის მონაცვლეობა სხვადასხვა კონტექსტში);</p> <p>სტილისტიკა: გრძელი და მოკლე წინადადებების მონაცვლეობა; მიმღობითი და გერუნდიული კონსტრუქციების გამოყენება დამოკიდებული წინადადებების ნაცვლად; ძლიერი და ნეიტრალური ზმნები და ზედსართავი სახელები;</p> <p>თემატიკა: ოჯახი და მემკვიდრეობა; ქორწინება დიდ ბრიტანეთში; ომი და სიყვარული; ოჯახური კონფლიქტები; სპორტი; კინემატოგრაფია; ქალაქი და სოფელი; ასაკობრივი განსხვავება; ჩვევები და ტრადიციები; ქორწინება და ოჯახი.</p>			
<p>C1 ზოგადი ინგლისური</p>	<p>ინგლისური ენის მოცემული სალექციო კურსი წარმოადგენს უცხო ენის პრაქტიკულ კურსს. ეს სემესტრი, ერთის მხრივ, ემსახურება გასული ეტაპების გავლის პერიოდში ჩამოყალიბებული პრაქტიკული თუ თეორიული უნარ-ჩვევების გამყარება-გაღრმავებას და მათ შემდგომ დახვეწასა და სრულყოფას. მოცემული სალექციო კურსი წინა სალექციო კურსების ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს და შემდგომი სემესტრის წარმატებულად გავლის შედეგად კურსდამთავრებულს ექნება სათანადო ენობრივი კომპეტენცია, იმისათვის რომ აიღოს C 1 დონის (შეფასების ზოგადევროპული ერთიანი ჩარჩო) დამადასტურებელი სერტიფიკატი.</p> <p>გრამატიკა: ირიბი ნათქვამი ზუსტი ციტირების გარეშე; ტონისა და ემოციის გამოხატვა ირიბ ნათქვამში; პუნქტუაციის გამოყენება ირიბ ნათქვამში; სასვენი ნიშნები ინგლისურ წინადადებაში (შეჯამება); ემფაზა ინგლისურ წინადადებაში; ემფატური do/did; ინვერსიული წყობა; მოდალური ზმნები; მიმღობითი და გერუნდიული კონსტრუქციები (მოქმედებითი/ვნებითი გვარი, სრული და უსრული ფორმები); დამოკიდებული წინადადებების ტიპები და მათი ჩანაცვლება მიმღობითი და გერუნდიული კონსტრუქციებით; ენის რეგისტრები. მიზეზ-შედეგობრიობის გამოხატვის თავისებურება ინგლისურ ენაში, კონტრასტის გამოხატვის სპეციფიკა – because;/because of; Due to; therefore; in addition; such ... that; so ... that; Despite/in spite; even though/although; otherwise; nevertheless (შეჯამება);</p> <p>ლექსიკა: სინონიმები და ანტონიმები და მათი კონტექსტუალური თავისებურება; სინონიმთა შორის არსებული განსხვავება სხვადასხვა რეგისტრებში; ოფიციალური ენისათვის დამახასიათებელი სტილი; ჩასაცმელთან დაკავშირებული იდიომატური გამოთქმები; სიტყვათა პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით გამოყენება; ბრძანებითი წინადადებების პრაგმატიკა; სინონიმები და ანტონიმები; ზმნისა და არსებითი სახელის შეთანხმება რიცხვში (შეჯამება); აზრის იმპლიციტურად გამოხატვის საშუალებები;</p> <p>თემატიკა: სიზმრები და წინასწარმეტყველება; დროში მოგზაურობა; მომავლის საკვები; ჩაცმა და მოდა; გემოვნება; ტურიზმი; საიდუმლო და ჭორები; შეთქმულების თეორიები;</p>	<p>სავალდებულო</p>	<p>5</p>	<p>IV/VI</p>

	კინემატოგრაფია; უკვდავება.			
რიტორიკა	კურსი სტუდენტებს შეასწავლის იმას, თუ როგორ მოემზადონ საჯარო გამოსვლისთვის, როგორ დაამყარონ აუდიტორიასთან სასურველი კონტაქტი და მოახდინონ მასზე ზემოქმედება, როგორ წარმართონ დისკუსია და გაიმარჯვონ კამათში. სალექციო კურსი სტუდენტებს დაეხმარება შეარჩიონ შესაბამისი სამეტყველო სტილი, მიაღწიონ მეტყველების სიზუსტეს, ლოგიკურობას.	სავალდებულო	5	II
ფოლკლორისტიკა	კურსი მოიცავს ქართული ფოლკლორის, როგორც კულტურის განსაკუთრებული ფორმის, ძირითად თემებს და ფოლკლორული ჟანრების ეთნოგრაფიასთან და ქართულ ტრადიციებთან ერთად კომპლექსური შესწავლის საკითხებს.	სავალდებულო	5	II
მითოლოგია	კურსი მოიცავს მსოფლიო მითოლოგიაში არსებულ უნივერსალური მითოლოგიებისა და მითოსური სტრუქტურების ქართულ მითოლოგიასთან შედარებით სწავლებას. თავდაპირველი რელიგიური რწმენა-წარმოდენებისა და მითო-რიტუალური სისტემების ურთიერთკავშირს. ანტიკური, ეგვიპტური, შუმერულ-აქადური, ინდური, კავკასიური მითოლოგიების კომპარატივისტულ სწავლებას.	სავალდებულო	5	III
პუბლიცისტიკა	პუბლიცისტიკის კურსი გულისხმობს მე-19 საუკუნის ქართული პერიოდიკის ისტორიის შესწავლას. სტუდენტები გაეცნობიან პირველი ქართული პერიოდული გამოცემების ისტორიას. ამავე დროს სტუდენტები წაიკითხავენ არა თუ მე-19 და მე-20 საუკუნეების პუბლიცისტურ ტექსტებს, არამედ თანამედროვე აქტუალურ საკითხებზე დამაპირებელ სტატიებსა თუ ინტერვიუებს. იფიქრებენ ილია ჭავჭავაძის, სერგეი მესხის, ნიკო ნიკოლაძის, ოთარ ჭილაძის, ჯემალ ქარჩხაძის, აკაკი ბაქრაძის, ნიკოლო მიწიშვილის, ზვიდ გამსახურდიას ნაზრევზე და პრობლემებზე.	სავალდებულო	5	V
ქართული ესთეტიკური აზრის ისტორია	სასწავლო კურსი ითვალისწინებს ქართული ესთეტიკური აზრის ისტორიის შესწავლა- შემეცნებას ქრონოლოგიურ ჭრილში: წინაქრისტიანული, ქრისტიანული, შუა საუკუნეების, რენესანსული, გვიანი შუა საუკუნეების, ახალი და უახლესი პერიოდებისა დღევანდლობამდე.	სავალდებულო	5	VII
ანტიკური ლიტერატურის ისტორია I ნაწილი	კურსი მოიცავს ანტიკური ლიტერატურის ისტორიასთან დაკავშირებულ საკითხებს, დაწყებულს მითოსური წარსულიდან და ლიტერატურის ჩასახვიდან და დასრულებულს ბერძნული რიტორიკით. ანტიკური ლიტერატურის ისტორიის პირველი ნაწილი მოიცავს ძველი ბერძნული ეპოსის (ჰომეროსი და ჰესიოდე), ლირიკის (ელეგია, იამბი, ეპიგრამა, მელიკა, ქორიკა, პიროვნული და სსაგუნდო ლირიკა), დრამისა (ტრაგედია და ძველი ატიკური კომედია) და	სავალდებულო	5	I

	ბერძნული პროზისა (ფილოსოფია, ისტორია) და რიტორიკის საკითხებს.			
ანტიკური ლიტერატურის ისტორია II ნაწილი	კურსი მოიცავს ანტიკური ლიტერატურის ისტორიასთან დაკავშირებულ საკითხებს, დაწყებულს მითოსური წარსულიდან და ლიტერატურის ჩასახვიდან და დასრულებულს ბერძნული რიტორიკით. ანტიკური ლიტერატურის ისტორიის პირველი ნაწილი მოიცავს ძველი ბერძნული ეპოსის (ჰომეროსი და ჰესიოდე), ლირიკის (ელეგია, იამბი, ეპიგრამა, მელიკა, ქორიკა, პიროვნული და სსაგუნდო ლირიკა), დრამისა (ტრაგედია და ძველი ატიკური კომედია) და ბერძნული პროზისა (ფილოსოფია, ისტორია) და რიტორიკის საკითხებს.	სავალდებულო	5	II
დაბადება და ახალი აღთქმა	კურსი შეისწავლის დაბადებასა და ახალ აღთქმას. როგორც ქართული და ქრისტიანული მსოფლიოს კულტურულ, მსოფლმხედველობრივ, ანთროპოლოგიურ, ჟანრობრივ საფუძველს. ასევე იმ ფუნდამენტურ საკითხებს, რომლებიც აყალიბებდა სამწერლობო-კულტურულ ხედვას, ლიტერატურათმცოდნეობით, სიმბოლურ-სა სახეობრივ სისტემასა და აზროვნებას	სავალდებულო	5	III
ძველი ქართული სასულიერო მწერლობა (I ნაწილი)	კურსი მოიცავს ძველ ქართული სასულიერო მწერლობის წარმოშობისა და განვითარების ისტორიას; პირველ პერიოდში (მე-5 საუკუნის 30-იანი წლებიდან - მე-10 საუკუნის 80-იან წლებამდე) და შექმნილი ძეგლების (ჰაგიოგრაფია) ანალიზს. კურსის მიზანია, სტუდენტს მისცეს ცოდნა V-X საუკუნეების ქართული ლიტერატურული ძეგლების (სასულიერო) მხატვრული, ესთეტიკური, მსოფლმხედველობრივი, ისტორიული, შემეცნებითი და მთარგნელობითი პროცესების არსებით პრობლემებზე.	სავალდებულო	5	III
ძველი ქართული სასულიერო მწერლობა (II ნაწილი)	კურსი მოიცავს ძველ ქართული სასულიერო მწერლობის წარმოშობისა და განვითარების ისტორიას; XI – XVIII სს. - ის ძეგლების ისტორიულ - ლიტერატურულ და სახისმეტყველებით ანალიზს. კურსის მიზანია, სტუდენტს მისცეს ცოდნა X - XVIII საუკუნეების ქართული ლიტერატურული ძეგლების (სასულიერო) მხატვრული, ესთეტიკური, მსოფლმხედველობრივი, ისტორიული, შემეცნებითი და მთარგნელობითი პროცესების არსებით პრობლემებზე.	სავალდებულო	5	IV
რუსთველოლოგია	კურსი შეისწავლის „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის, თხზულების ჟანრობრივი კუთვნილების, ძირითადი ტექსტის, ინტერპოლატორებისა და გამგრძელებლების, „ნატყუარი“ სტროფების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებებს, რუსთაველის ანთროპოლოგიას და	სავალდებულო	5	IV

	მსოფლმხედველობას, ჰუმანისტურ ტენდენციებს და მიმართებას ევროპულ კულტურულ-ლიტერატურულ ტენდენციებთან.			
XII-XVIII საუკუნის საერო ლიტერატურა	კურსი მოიცავს ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის ისტორიის უაღრესად საინტერესო ვექტორს - საერო ლიტერატურას, რომელიც ძველი ქართული ლიტერატურის ადრეულ ეტაპზე სრულიად არ არსებობდა, ხოლო მე-11 საუკუნიდან თანაარსებობდა სასულიერო მწერლობასთან და ინარჩუნებდა ორიგინალურობასა და ეროვნულობას აღმოსავლურ-დასავლური ტენდენციების რთულ ლაბირინთში. შესაბამისად, სტუდენტები გაეცნობიან მე-12 - მე-18 საუკუნეებში შექმნილ (და რიგ შემთხვევებში - თარგმნილ) საერო ლიტერატურის ნიმუშებსა და ამ თხზულებათა ტიპოლოგიის განმსაზღვრელ მიზეზებს.	სავალდებულო	5	V
დიადი წიგნები I ნაწილი	კურსი მოიცავს დიადი წიგნების მიმოხილვას, დაწყებულს გილგამეშიანით და დასრულებულს უილიამ შექსპირის ტრაგედიებით. დიადი წიგნების პირველი ნაწილი მოიცავს დიადი წიგნების განმარტებას, გილგამეშის ეპოსს, ჰომეროსის პოემებს, ძველი ბერძნული ტრაგედიის წარმომადგენლებს (ექსილე, სოფოკლე, ევრიპიდე), ვერგილიუსს, დანტე ალიგიერის „ღვთებრივ კომედიას“ და უილიამ შექსპირის ტრაგედიებს.	სავალდებულო	5	V
დიადი წიგნები II ნაწილი	კურსი მოიცავს დიადი წიგნების მიმოხილვას, დაწყებულს მოლიერიტა და დასრულებულს ალბერ კამიუს რომანებით. დიადი წიგნების მეორენაწილი მოიცავს დიადი წიგნების განმარტებას, ჟან-ბატისტ მოლიერის დონ ჟუანის, იოჰან ვოლფგანგ გოეთეს ფაუსტის, ფრედერიკ სტენდალის, ონორე დე ბალზაკის, ვიქტორ ჰიუგოს, ჩარლზ დიკენსის, ლევ ტოლსტოის, ფიოდორ დოსტოევსკის, ფრანც კაფკას, თომას მანის, უილიამ ფოლკნერისა და ალბერ კამიუს რომანებს.	სავალდებულო	5	VI
XIX საუკუნის ქართული ლიტერატურა	სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან მე-19 საუკუნეში საქართველოში მიმდინარე ლიტერატურულ პროცესებს. შეისწავლიან ამ პერიოდის გამოჩენილ ავტორებს და მათ ლიტერატურულ ნაწარმოებებს. კერძოდ, შეისწავლიან ქართულ რომანტიზმს და მის თავისებურებებს, ქართულ მწერლობაში რეალიზმის განვითარების ეტაპებს და მის გამოჩენილ სახეებს: ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, ვაჟა-ფშაველას.	სავალდებულო	5	VI
XX საუკუნის ქართული ლიტერატურა	XX საუკუნის პირველი ნახევრის ისტორიულ მონაკვეთს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ახალი ქართული ლიტერატურული აზროვნებისა და ესთეტიკური ხედვის ჩამოყალიბებაში. ლიტერატურული პროცესი ვითარდება მძიმე სოციალურ-პოლიტიკური და კულტურულ-ინტელექტუალური ქარტახილების პირობებში და მიუხედავად სულიერი და შემოქმედებითი ტრავმებისა, მტკიცედ ინარჩუნებს ცენტრალური დისკურსის ფუნქციას	სავალდებულო	5	VII

	საზოგადოებრივ ცხოვრებაში. სიახლე, ცვლილება ამ პროცესის განუწყვეტელი თანამდევია უკვე გასული საუკუნის 90-იანებიდან როგორც დადებით, ისე უარყოფით კონტექსტში.			
XXI საუკუნის ქართული ლიტერატურა	21-ე საუკუნის ქართული ლიტერატურის კურსი გულისხმობს იმ საბაზისო ცოდნის მიცემას, რომელიც აუცილებელია ქართული ფილოლოგიის პროგრამის სტუდენტისათვის. ამ კურსის ფარგლებში შეისწავლება შემოქმედება იმ მწერლებისა, რომლებიც ქმნიან 21-ე საუკუნის ლიტერატურის ძირითად ტენდენციებს. კურსის მსვლელობისას სტუდენტები გაეცნობიან თანამედროვე ლიტერატურის ჟანრობრივ თავისებურებს, განიხილავენ მათ მსოფლიო ლიტერატურის ჭრილში, შეძლებენ ნაწარმოების გაანალიზებასა და ინტერპრეტაციას (სხვადასხვა ნაწარმოების პერსონაჟების დიალოგი, პერსონაჟის ინტერვიუ ავტორთან, დიალოგი ერთი და იმავე ნაწარმოების ორი პერსონაჟისა, რომლებიც ნაწარმოებში არასდროს ხვდებიან ერთმანეთს, პერსონაჟის გასამართლება), შეიძენენ ნაწარმოების ქვეტექსტის ამოკითხვის უნარს, მოამზადებენ ინდივიდუალურ ზეპირ პრეზენტაციებს (მწერლის წარდგენა, ავტორის კრიტიკა, ნაწარმოების გააზრება ეპოქის პოლიტიკურ-კულტურულ ფონზე...), დაეუფლებიან დისკუსიის მართვის ხელოვნებას (პრობლემური საკითხის დასმა, კამათის პროვოცირება, ოპოზიციური კამათი).	სავალდებულო	5	VIII
ევროპული ლიტერატურა და მოდერნიზმები	სასწავლო კურსი აცნობს სტუდენტებს მოდერნიზმის ლიტერატურას. მოდერნიზმი წარმოადგენს მე-20 საუკუნის პირველი ნახევრის მთავარ მიმდინარეობას ევროპულსა და იმჟამად მასზე ორიენტირებულ ჩრდილოამერიკულ მხატვრულ აზროვნებაში. ტერმინით “მოდერნიზმი” აღინიშნება რიგი ნოვატორული, მე-19 საუკუნის ტრადიციებთან მკაფიოდ დაპირისპირებული მხატვრული კონცეფციებისა, საუკუნეთა მიჯნის ფრანგული და იტალიური დეკადენტური მოძრაობებიდან (Fინ დე სიბ̀ელე -ს ლიტერატურა, ფუტურიზმი, ა.შ.) მოდერნისტული ეპოქის დასასრულამდე, როდესაც მას, მე-20 საუკუნის II ნახევარში პოსტმოდერნი სცვლის. მოდერნიზმის მწვერვალს, ე.წ. “მაღალ მოდერნიზმს” (უ.ბ.იეიტსი, ჯეიმზ ჯოისი, ეზრა პაუნდი, ტომას ელიოტი, ვირჯინია ვულფი, უ.ჰ. ოდენი და სხვანი) ახასიათებს ღრმა ინტელექტუალიზმი, ასოციაციური პოეტიკა, იმჟამინდელი ფსიქოლოგიის, ანთროპოლოგიის, ფილოსოფიის მონაცემებზე ორიენტაცია და მანამდე არსებულ ლიტერატურულ ტრადიციათა გადაფასების ტენდენცია.	სავალდებულო	5	VIII
ენათმეცნიერების შესავალი	ენათმეცნიერების შესავლის კურსი მოიცავს ყველა იმ საბაზისო, ზოგადთეორიულ ლინგვისტურ საკითხს, რომელიც აუცილებელია ინგლისური ენის მომავალ სპეციალისტთა ჰუმანიტარული აზროვნების განვითარებისათვის.	სავალდებულო	5	II

	ენათმეცნიერების შესავლის კურსის მიზანია ქართული ფილოლოგიის მიმართულების სტუდენტებს განუვითაროს ენის მეცნიერულად შესწავლის კულტურა, რაც გულისხმობს ენის გრამატიკულ წყობასა და ლექსიკურ ფონდზე დაკვირვებას სინქრონიასა და დიაქრონიაში.			
ქართული ენის ფონეტიკა, სახელის მორფოლოგია	სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტები სისტემურად შეისწავლიან ქართული ენის ფონეტიკურ და მორფოლოგიურ (სახელის მორფოლოგია, ფორმალური სიტყვები) თავისებურებებს: <ul style="list-style-type: none"> ➤ თანამედროვე ქართული ენის ბგერათა სისტემას; ➤ სიტყვის აგებულებას; ➤ მეტყველების ნაწილებს (არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი, ნაცვალსახელი); ➤ სახელთა წამოქმნისა და თხზვის თავისებურებებს; ფორმალურ სიტყვებს(მეტყველების ნაწილებს).	სავალდებულო	5	III
ზმნის მორფოლოგია	სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტები სისტემურად შეისწავლიან ქართული ზმნის მორფოლოგიას, მის თავისებურებებს: კერძოდ, <ul style="list-style-type: none"> ➤ ზმნის წარმოქმნისა და უღლების კატეგორიებს, ➤ ქართული ზმნის სერიებსა და მწკრივებს, ➤ ქართული ზმნის უღლების ტიპებს საერთო კანონზომიერების გარეშე მდგარ ზმნურ ფორმებს.	სავალდებულო	5	IV
ქართული ენის სინტაქსი	სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტები სისტემურად შეისწავლიან ქართული ენის სინტაქსს, მის თავისებურებებს: კერძოდ, <ul style="list-style-type: none"> ➤ წინადადების მთავარ და მეორეხარისხოვან წევრებს; წინადადების ტიპებს აგებულების მიხედვით: მარტივ, შერწყმულ, რთულ ქვეწყობილ და თანწყობილ წინადადებებს.	სავალდებულო	5	V
ქართული ენის პრაქტიკული სტილისტიკა	ქართული ენის პრაქტიკული სტილისტიკის სასწავლო კურსში სტუდენტები შეისწავლიან ენათმეცნიერების უმნიშვნელოვანესი დარგის - სტილისტიკის საკვანძო საკითხებს. გაეცნობიან სტილთა ჩამოყალიბების ისტორიულ ეტაპებს და ენის განვითარების შემდგომ პერსპექტივას. ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო საფეხურის სტუდენტებისათვის შემუშავებული ქართული ენის პრაქტიკული სტილისტიკის სასწავლო კურსი მიზნად ისახავს სპეციალისტთა მომზადებას იმ უმნიშვნელოვანეს საენათმეცნიერო დარგში, რომელსაც სტილისტიკა ეწოდება; ეს უკანასკნელი	სავალდებულო	5	VI

	<p>დღეს ენობრივი სტილების, ანუ ენის გამომსახველობითი საშუალებების, ნაირგვარობის შემსწავლელი დარგია და, როგორც ნაწილი სიტყვიერების თეორიულ-პრაქტიკული გააზრებისა, კარგად წარმოაჩენს სტილთა ჩამოყალიბების ისტორიულ ეტაპებს; ამასთან, გამოკვეთს ენის განვითარების შემდგომ პერსპექტივას. დასახელებული კურსი თეორიულ ცოდნასთან ერთად პრაქტიკული უნარის გამომუშავებას ისახავს მიზნად და, საბოლოოდ, ენობრივი კულტურის სრულყოფასა და კომპეტენციის დახვეწას ემსახურება.</p>			
ლათინური ენა	<p>კურსი ითვალისწინებს ლათინური ენის ისტორიის, მორფოლოგიის, სინტაქსისა და ლექსიკის შესწავლას; ერთი სემესტრის განმავლობაში სტუდენტი დაეუფლება სახელმძღვანელოში (Wheelock, Frederic and Richard A. Lafleur. 2011⁷. <i>Wheelock's Latin</i>. NY: HarperCollins Publishers) წარმოდგენილ ძირითად გრამატიკულ მასალასა და ლექსიკას, რისთვისაც შეასრულებს წერილობით დავალებებს: გრამატიკულ სავარჯიშოებსა და ტექსტების თარგმნას.</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ ძირითადი ლექსიკური ერთეულების ცოდნა (დაახლ. 1000 სიტყვა) ▪ ძირითადი გრამატიკული ფორმების წარმოება-იდენტიფიცირება ▪ ცალკეული გრამატიკული ფორმების სინტაქსური ფუნქციების განსაზღვრა ▪ ლათინურიდან თარგმნა და სინტაქსური კონსტრუქციების განსაზღვრა <p>სტუდენტებს წარმოდგენა შეეძინებათ ლათინურ ენაზე, როგორც საერთაშორისო ტერმინოლოგიის ერთ-ერთ ძირითად წყაროზე.</p>	სავალდებულო	5	IV
ძველი ბერძნული ენა 1	<p>კურსი ითვალისწინებს ძველი ბერძნული ენის შესწავლის დაწყებას, მორფოლოგიისა და სინტაქსის საწყისი ელემენტების გაცნობას, ლექსიკური მარაგის დაგროვებას და მცირე ზომის მარტივი ტექსტების თარგმნას.</p> <p>კურსის მიზანია, შეასწავლოს სტუდენტს ძველი ბერძნული ენის საფუძვლები, მორფოლოგიისა და სინტაქსის საწყისი ელემენტები და ლექსიკა რის საფუძველზეც სტუდენტი შეძლებს მარტივი ტექსტის ლექსიკონის დახმარებით კითხვასა და თარგმნას.</p>	სავალდებულო	5	V
ძველი ბერძნული ენა 2	<p>კურსი ითვალისწინებს ძველი ბერძნული ენის მორფოლოგიისა და სინტაქსური კონსტრუქციების შესწავლას, ლექსიკური მარაგის დაგროვებას და საშუალო სირთულის ტექსტების თარგმნას.</p> <p>კურსის მიზანია, შეასწავლოს სტუდენტს ძველი ბერძნული ენის საფუძვლები, მორფოლოგიისა და სინტაქსის ელემენტები და ლექსიკა, რის საფუძველზეც სტუდენტი შეძლებს საშუალო სირთულის ტექსტის ლექსიკონის დახმარებით კითხვასა და თარგმნას.</p>	სავალდებულო	5	VI
ძველი ქართული ენა 1	<p>კურსი მოიცავს ძველი ქართული ენის ფონეტიკისა და ფონოლოგიის, ასევე</p>	სავალდებულო	5	VII

	გრამატიკის – სახელებთან – დაკავშირებულ საკითხებს: ფონეტიკური მოვლენები ძველ ქართულში, ფონემები და ალოფონები ძველ ქართულში, სახელთა კატეგორიები, სახელთა ბრუნებასთან და სიტყვაწარმოებასთან დაკავშირებულ საკითხები, თანდებული და თანდებულის ბრუნვები, რიცხვსა და ბრუნვაში შეთანხმების თავისებურებანი, მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნება და მასთან დაკავშირებულ სირთულეები. კურსის ფარგლებში სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ გაეცნონ სხვადასხვა მოსაზრებას ქართული ენის გრამატიკის პრობლემატურ საკითხებზე.			
ძველი ქართული ენა 2	კურსი წარმოადგენს “ძველი ქართული ენა 1”-ის გაგრძელებას და მოიცავს ძველი ქართული ენის გრამატიკის შემდეგ საკითხებს: მოროფოლოგია: ზმნა, ზმნის უღლებსა და წარმოქმნის კატეგორიები, ზმნის უღლება, ზმნის უპირო ფორმები, ზმნიზედა, კავშირი, შორისდებული; სინტაქსი: წინადადების წევრები, სინტაქსური კონსტრუქციები, სინტაქსური ასიმილაცია და კონტამინაცია. კურსის ფარგლებში სტუდენტები გააგრძელებენ ქართული ენის გრამატიკის პრობლემატური საკითხების შესწავლას.	სავალდებულო	5	VIII
შესავალი კვლევის მეთოდებში	კურსი მიზნად ისახავს გააცნოს სტუდენტებს მეცნიერული კვლევის მიზანი და დანიშნულება. კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან მონაცემებისა და ინფორმაციის გასაანალიზებლად საჭირო უნარებს და კომპეტენციებს. კონკრეტული მეთოდების შესწავლის შემდეგ შეეცდებიან მათ გამოყენებას მცირემასშტაბიანი კვლევის დაგეგმვისა და განხორციელების დროს. კურსი ორიენტირებულია ჰუმანიტარულ მეცნიერებებში კვლევის კონკრეტული მეთოდების შერჩევის, დაგეგმვის და გამოყენების უნარების გამომუშავებაზე, ასევე აუცილებელი საბაზისო კვლევითი კომპეტენციის შექმნაზე. კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან რაოდენობრივ და თვისებრივ კვლევის მეთოდებს და მათი გამოყენების დანიშნულებას; გაეცნობიან სტატისტიკურ პარამეტრებს, მათი დამუშავებისა და დამუშავებისა და ინტერპრეტირების საბაზისო უნარებს. ასევე შეისწავლიან კვლევის ანგარიშის წერის წესებს. კურსის გავლის შედეგად სტუდენტები შეძლებენ უკეთ გაიგონ და შეაფასონ სხვების მიერ ჩატარებული კვლევები, დაგეგმონ და განახორციელონ მცირემასშტაბიანი კვლევები დამოუკიდებლად.	არჩევითი	5	IV
ძველი ქართული სამწერლობო კერები	კურსი მოიცავს ძველი ქართული სამწერლობო კერების (როგორც საქართველოში, ისე ქვეყნის გარეთ) წარმოშობისა და განვითარების ისტორიას, იქ მიმდინარე კულტუროლოგიური და ლიტერატურულ- მთარგმნელობითი პროცესების ანალიზს.	არჩევითი	5	IV

	კურსის მიზანია, სტუდენტს გააცნოს ძვ. ქართულ მწიგნობრულ-მთარგმნელობით კერებში მიმდინარე ლიტერატურული პროცესები; საქართველოსა და უცხოეთში (სირია, პალესტინა, ათონის მთა) არსებული სამწერლობო სკოლების პრინციპები და მიმართულებები.			
კულტუროლოგია	კურსი მოიცავს კულტურის ფენომენისა და თანამედროვე მსოფლიოში მისი აქტუალიზაციის განმაპირობებელი მიზეზების გაანალიზებას დასავლურ კულტუროლოგიურ აზროვნებაზე დაყრდნობით. სასწავლო კურსის ფარგლებში განხილული იქნება კულტურის ინტერდისციპლინური ხასიათი, ფუნქციები, სტრუქტურა, კაცობრიობის კულტურული განვითარების ძირითადი ეტაპები და თავისებურებები; მსოფლიო კულტურის ისტორიული ტიპოლოგიის საერთაშორისო კონცეფციები, კულტურის მემკვიდრეობითობის პრინციპები და სხვა კულტურებთან მიმართების საკითხები, კულტურათა მრავალფეროვნებისა და უნიკალურობის მნიშვნელობა, იდენტობის, ტოლერანტობისა და კულტურათა დიალოგის საკითხები, კულტურის შესწავლის მნიშვნელობა მულტიკულტურულ საზოგადოებაში.	არჩევითი	5	IV
შესავალი დრამაში	შესავალი დრამაში წარმოადგენს ზოგად თეორიულ კურსს დრამის თეორიის საკითხებში. კურსი მოიცავს თითქმის ყველა თეორიული ნაშრომის ანალიზს ანტიკური ხანიდან მოყოლებული დღემდე ხელოვნების სფეროში, განსაკუთრებით კი ლიტერატურასა და თეატრში. ვინაიდან სათეატრო ხელოვნების საფუძველი არის სიტყვა, ტექსტი, ლიტერატურის გარეშე წარმოუდგენელია თეატრი. სხვადასხვა ეპოქაში ლიტერატურული მხატვრული ტექსტი და შესაბამისად სათეატრო პროდუქტი სპექტაკლი, იქმნება გარკვეული თეორიული ტრაქტატების მიხედვით, თეორიული კანონები კარნახობს ან აანალიზებს ნაწარმოების ფორმას და შინაარსს. სწორედ ამ მეთოდოლოგიის გაცნობას ისახავს კურსი მიზნად.	არჩევითი	5	V
ლიტერატურული მემკვიდრეობის მუზეიფიკაციის მეთოდები	კურსი მოიცავს საქართველოსა და მსოფლიოს წამყვან მუზეუმებში დაცული ლიტერატურული მემკვიდრეობის მუზეიფიკაციისა და ინტერპრეტაციის პრინციპებს, სტანდარტებსა და მეთოდებს. განიხილება მუზეუმებში ლიტერატურული მემკვიდრეობის ინტერპრეტაციის ფორმები, სპეციფიკურ თავისებურებათა თეორიული და პრაქტიკული ასპექტები. კერძოდ, ლიტერატურული მემკვიდრეობის ინტერპრეტაციის ფორმები და ექსპონირების მეთოდები გამოფენებისა და საგანმანათლებლო პროგრამების მეშვეობით, ელექტრონული მედიისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, ასევე, ლიტერატურული მემკვიდრეობისა და კონკრეტული ლიტერატურული ნაწარმოების ინტერპრეტაციის პროექტის მომზადებისა და მენეჯმენტის საკითხები.	არჩევითი	5	V

თარგმანის კულტურა	<p>კურსის ითვალისწინებს სტუდენტს მისცეს საბაზო თეორიული ცოდნა მხატვრული და დარგობრივი თარგმანის შესახებ; გააცნოს მთარგმნელობითი საქმიანობის კულტურული, სოციალური, ისტორიული ასპექტები და ამ პროფესიის ძირითადი პრაქტიკული ელემენტები. გააცნოს ამ დარგის მნიშვნელოვან მკვლევართა თეორიული მოსაზრებები.</p> <p>კურსის განმავლობაში სტუდენტი იმუშავებს როგორც ჯგუფში, ასევე ინდივიდუალურად სხვადასხვა ტიპის ტექსტებზე (პროზა, პოეზია, პიესა, ესე). ჯგუფში სამუშაო ტექსტებს შეარჩევს ლექტორი, თუმცა სტუდენტს ექნება საშუალება, საკუთარი ინტერესების, გამოვლენების, თემატური პრიორიტეტების მიხედვით შეარჩიოს და შეათანხმოს სამუშაო მასალა.</p> <p>კურსი მოიცავს ზეპირი თარგმანის თეორიულ და პრაქტიკულ კომპონენტებსაც (თანმიმდევრული და სინქრონული თარგმანი).</p>	არჩევითი	5	VI
ტექსტოლოგიური კვლევის საფუძვლები	<p>ტექსტოლოგია დამოუკიდებელი ფილოლოგიური მეცნიერებაა, რომელიც სწავლობს ლიტერატურული ნაწარმოების, ტექსტის ისტორიას ტექსტის კრიტიკული შემოწმებისა და დადგენის მიზნით, ხოლო მის დასკვნებს იყენებს ლიტერატურათმცოდნეობა. ფილოლოგებისთვის აუცილებელია ტექსტოლოგიური კვლევის საფუძვლების ცოდნა, ვინაიდან ტექსტოლოგიური სამუშაოს შესრულებისა და კრიტიკული ტექსტის დადგენის გარეშე შეუძლებელია ლიტერატურული ნაწარმოების მეცნიერული კვლევა.</p>	არჩევითი	5	VI
შესავალი ბიზანტიურ ფილოლოგიაში	<p>კურსი ითვალისწინებს ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიის, მისი ჟანრებისა და ძირითადი ტენდენციების მიმოხილვას.</p> <p>სასწავლო კურსის მიზანია, ბიზანტინიზმის ძირითადი მსოფლმხედველობრივი პრინციპების გაცნობა, ბიზანტიური ლიტერატურის საერთო ხასიათისა და მისი ტენდენციების გარკვევა სხვადასხვა პერიოდის და ჟანრის თხზულებათა ანალიზის საფუძველზე.</p>	არჩევითი	5	VI
ტექსტის რედაქტირება	<p>სასწავლო კურსი მოიცავს სხვადასხვა ტიპის (მხატვრული, სამეცნიერო, ეპისტოლარული, თარგმანი და ა.შ.) ტექსტის რედაქტირების საკითხებსა და პრობლემებს. თეორიულ ცოდნის კვალდაკვალ კურსი ძირითადად ორიენტირებულია პრაქტიკულ მეცადინეობებზე.</p> <p>სასწავლო კურსის მიზანია, სტუდენტი გააცნოს სხვადასხვა ტიპის ტექსტის რედაქტირების სპეციფიკას და განუვითაროს მას ტექსტის რედაქტირების პრაქტიკული უნარ-ჩვევები.</p>	არჩევითი	5	VII
ლინგვისტურ მონაცემთა ციფრული დამუშავების	<p>სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან თანამედროვე დისციპლინათმშორისი დარგის ძირითად პრინციპებს, ენობრივ მონაცემთა</p>	არჩევითი	5	VII

<p>საფუძვლები და ელექტრონული სწავლების კომპონენტები</p>	<p>(ტექსტების, ლექსიკონების, მონაცემთა ბაზების) ციფრული (კომპიუტერული) დამუშავების ძირითად მეთოდებსა და საშუალებებს. შეძლებენ უკვე არსებულ ბაზებზე მუშაობას.</p> <p>კურსის მიზანია, სტუდენტები გაეცნონ და დაეუფლონ ციფრული ტექნოლოგიებით ენობრივი მონაცემების დამუშავების შესაძლებლობებს. ხელოვნური ინტელექტისა და ადამიანური ინტელექტის ურთიერთთანამშრომლობის სხვადასხვა პროდუქტს; ტექსტური და ენობრივი (ლინგვისტური) მონაცემების დახარისხების, ძიების, საკვლევი /შესასწავლი მასალის თანამედროვე შესაძლებლობებს; კომპიუტერული ლინგვისტიკისა და ციფრული ჰუმანიტარის თანამედროვე მეთოდოლოგიას.</p>			
<p>შექსპირი</p>	<p>სასწავლო კურსი ეხება უილიამ შექსპირის დრამატურგიას, კონკრეტულად კი – შექსპირის დროის თეატრსა და მის პიესებს (7 პიესა); ასევე, მიმოიხილავს შექსპირის შემოქმედების ინტერპრეტაციას თანამედროვეობაში. კურსის მანძილზე, შექსპირის პიესები განიხილება არა ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, არამედ თემატურად – ერთმანეთთან კავშირში. ინტერტექსტუალური ანალიზი საშუალებას მისცემს სტუდენტებს უკეთ გაიაზრონ და შეაფასონ ის ძირითადი თემები და პრობლემები, რომლებიც ვლინდება ინგლისელი დრამატურგის კომედიებსა და ტრაგედიებში.</p>	<p>არჩევითი</p>	<p>5</p>	<p>VII</p>
<p>ბარათაშვილი</p>	<p>კურსი შეისწავლის ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიას, პირად წერილებსა და ტრაგიკულ ცხოვრებას. მის შემოქმედებას განვიხილავთ ევროპული ლიტერატურის კონტექსტში. ასევე მნიშვნელოვანია ბარათაშვილის პოზიისა და ევროპული რომანტიზმის პოეტიკისა და სიმბოლიკის ტიპოლოგიათა განსაზღვრა.</p> <p>კურსის მიზანია სტუდენტებს გაეცნოს ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედება. ერთი პოეტის სიდრმისეულად, მრავალი ასპექტით განხილვით მისცეს ლიტერატურული დაკვირვების, კვლევის უნარები.</p>	<p>არჩევითი</p>	<p>5</p>	<p>VII</p>
<p>ელიოტი-ამერიკანისტიკა</p>	<p>სასწავლო კურსი სტუდენტებს აცნობს მეოცე საუკუნის ამერიკული მწერლობის უმნიშვნელოვანესი წარმომადგენლის - პოეტის, ლიტერატურის თეორეტიკოსისა და დრამატურგის ტომას ელიოტის შემოქმედებას, მისი ეპოქის უმნიშვნელოვანეს ლიტერატურულ და კულტურულ მოვლენებთან მჭიდრო კავშირში. ვინაიდან ელიოტის შემოქმედება ერთნაირად ეკუთვნის როგორც ამერიკულ, ისე ინგლიურ ლიტერატურას და ფაქტობრივად, წარმოადგენს ინტერკულტურულ მოვლენას, კურსში განიხილება მისი სიახლოვე მისივე ეპოქის როგორც ამერიკულ, ისე ევროპულ ლიტერატურულ, ესთეტიკურ და კულტუროლოგიურ მიმდინარეობებთან, შესაბამის პიროვნებებთან, რომლებიც</p>	<p>არჩევითი</p>	<p>5</p>	<p>VIII</p>

	ამ მიმდინარეობებს განასახიერებენ.			
გალაკტიონი	სტუდენტები შეისწავლიან მე-20 საუკუნის ქართული ლიტერატურის ყველაზე გამორჩეული პოეტის, გალაკტიონ ტაბიძის მხატვრული სამყაროს სტრუქტურას, ტროპული მეტყველების თავისებურებებს, თუ როგორ განხორციელდა ქართული კლასიკური პოეზიის ტრადიციებისა და დასავლური ლიტერატურის ნოვაციების ორიგინალური სინთეზი მისი პოეზიის ქრონოტოპში. როგორ წარმოჩნდა მეოცე საუკუნის ქართული პოეზიის ძირითადი ლიტერატურული მიმდინარეობების (სიმბოლიზმის, იმპრესიონიზმის, ფუტურიზმის, ექსპრესიონიზმის) მხატვრული გარდასახვა გალაკტიონის პოეზიის სახე-სიმბოლოებში. გამოიკვეთება მისი პოეზიის ნოვატორულობის არსი, პოეტური ექსპერიმენტების რაობა ვერსიფიკაციის სფეროში, კონვენციური ლექსისა და ვერლიბრის სხვადასხვა სახის ანალიზი. განიხილება მისი პოეზიის გამორჩეული ნიმუშები.	არჩევითი	5	VIII
დავით გურამიშვილი	კურსი შეისწავლის „დავითიანის“ ავტორის, თხზულების ჟანრობრივი კუთვნილების, გურამიშვილის ბიოგრაფიის და ქვეყნის ხვედრის, პოეტის ალეგორიულ-მისტიკური ხედვის, ესთეტიკისა და პოეტიკის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებებს, გურამიშვილის მიმართებას თანადროულ მსოფლიო ლიტერატურულ და მსოფლმხედველობრივ ხედვასთან, პოეტის ადგილს მსოფლიო ლიტერატურულ კონტექსტში, გურამიშვილის ლიტერატურული კანონის მიმართებას ეპოქალურ ტენდენციებთან.	არჩევითი	5	VIII
რუსულ-ქართული ურთიერთობები	რუსულ-ქართული ურთიერთობები ურთიერთობები ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური საკითხია ჩვენი ქვეყნის თანამედროვე ისტორიაში. ორ ქვეყანას შორის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ურთიერთობებს საფუძველი X საუკუნეში ჩაეყარა. ეს ურთიერთობები განსაკუთრებით ინტენსიური XVI საუკუნიდან, რუსეთის ცენტრალიზებული სახელმწიფოს დაარსების შემდეგ, გახდა. აღნიშნული სალექციო კურსის დასაწყისში განხილული იქნება ქართულ-რუსული პოლიტიკური, დიპლომატიური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობები დასაბამიდან 1783 წლამდე (გეორგიევსკის ტრაქტატამდე); სალექციო კურსის ძირითად ნაწილში სტუდენტები თანმიმდევრულად (და არა _ ფრაგმენტულად, ნაწილ-ნაწილ, საერთო ისტორიული პროცესების კონტექსტიდან ამოგლეჯილად) გაეცნობიან ქართულ-რუსული ურთიერთობების ყველა ეტაპს 1783 წლიდან დღემდე.	არჩევითი	5	VIII
შესავალი	ხელნაწერთმცოდნეობა მოიცავს ფილოლოგიური და წყაროთმცოდნეობითი	არჩევითი	5	VIII

ხელნაწერთმცოდნეობაში	კვლევის ორ მიმართულებას: კოდიკოლოგიას და ტექსტოლოგიას. სასწავლო კურსი ითვალისწინებს ხელნაწერის შექმნის ისტორიის, მისი ტიპოლოგიის შესწავლას. საწერი მასალის, საწერი იარაღების და ხელნაწერის გაფორმების სპეციფიკის გაცნობას. ხელნაწერი წიგნის შექმნის თავისებურებების, ქართული ხელნაწერის კოდიკოლოგიური და ტექსტოლოგიური მახასიათებლების შესწავლას. ქართული ხელნაწერი წიგნის ყდების ისტორიის, ხელწერის ნუსხის აღწერილობის კრიტერიუმების შესწავლას. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ხელნაწერი კოლექციების გაცნობას.			
მეორე უცხო ენა, I ნაწ (A1.0)- FREN 0001; ESP 0001, GERM 0001	კურსის მიზანია განუვითაროს სტუდენტს წერის, კითხვის, მოსმენის და საუბრის ჩვევები. ძირითადი ლექსიკური ერთეულების შესწავლა ხდება ყოფით და ინფორმაციული ხასიათის ტექსტებზე დაყრდნობით, დიდი ყურადღება ეთმობა ლექსიკის ათვისებას და მის გამოყენებას დიალოგურ მეტყველებაში. განსაკუთრებით აქტუალურია ფრაზების შედგენა შესწავლილი გრამატიკული და ლექსიკური კონსტრუქციებით და მათი პრაქტიკულად გამოყენება, საუბარი ელემენტარულ ყოფით თემებზე.	არჩევითი	5	V
მეორე უცხო ენა, II ნაწ (A1)- FREN 0002; ESP 0002, GERM 0002	კურსის მიზანია განუვითაროს სტუდენტს წერის, კითხვის, მოსმენის და საუბრის ჩვევები. ძირითადი ლექსიკური ერთეულების შესწავლა ხდება ყოფით და ინფორმაციული ხასიათის ტექსტებზე დაყრდნობით, დიდი ყურადღება ეთმობა ლექსიკის ათვისებას და მის გამოყენებას დიალოგურ მეტყველებაში. განსაკუთრებით აქტუალურია ფრაზების შედგენა შესწავლილი გრამატიკული და ლექსიკური კონსტრუქციებით და მათი პრაქტიკულად გამოყენება, საუბარი ელემენტარულ ყოფით თემებზე.	არჩევითი	5	VI
მეორე უცხო ენა, III ნაწ (A2.0)- FREN 0003; ESP 0003, GERM 0003	კურსის თემატიკა მრავალფეროვანია და მოიცავს თანამედროვე ცხოვრების მნიშვნელოვან ასპექტებს, რაც სტუდენტებს მისცემს ინტერკულტურულ გარემოში წარმატებული ორიენტაციისა და კომუნიკაციის საშუალებას. სტუდენტები სწავლობენ ისეთ თემებს, როგორცაა: პირადი და პროფესიული ცხოვრება, მოგზაურობა, კულტურა და მედია. კურსი გულისხმობს მარტივი ლიტერატურული, ოფიციალური ტექსტების, საგაზეთო სტატიების კითხვას; აზრის წერილობით გადმოცემის უნარის ჩამოყალიბებას. კურსით გათვალისწინებული სიტუაციური, ინტერაქტიური თამაშები და პრეზენტაციები კი ხელს უწყობს სტუდენტების არგუმენტირებული მსჯელობის უნარის განვითარებას.	არჩევითი	5	VII
მეორე უცხო ენა, IV ნაწ (A2)- FREN 0004; ESP 0004, GERM 0004	კურსის თემატიკა მრავალფეროვანია და მოიცავს თანამედროვე ცხოვრების მნიშვნელოვან ასპექტებს, რაც სტუდენტებს მისცემს ინტერკულტურულ გარემოში წარმატებული ორიენტაციისა და კომუნიკაციის საშუალებას.	არჩევითი	5	VIII

	სტუდენტები სწავლობენ ისეთ თემებს, როგორცაა: პირადი და პროფესიული ცხოვრება, მოგზაურობა, კულტურა და მედია. კურსი გულისხმობს მარტივი ლიტერატურული, ოფიციალური ტექსტების, საგაზეთო სტატიების კითხვას; აზრის წერილობით გადმოცემის უნარის ჩამოყალიბებას. კურსით გათვალისწინებული სიტუაციური, ინტერაქტიური თამაშები და პრეზენტაციები კი ხელს უწყობს სტუდენტების არგუმენტირებული მსჯელობის უნარის განვითარებას.			
თავისუფალი კრედიტი	ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტს შეუძლია დარეგისტრირდეს თავისუფალ კრედიტზე და მის ფარგლებში გაიაროს მისთვის სასურველი ნებისმიერი სასწავლო დისციპლინა კავკასიის უნივერსიტეტში მოქმედი პროგრამებიდან იმ პირობით თუ ამ სასწავლო დისციპლინას არ გააჩნია ისეთი წინაპირობა, რომელიც სტუდენტს გავლილი არ აქვს.	არჩევითი	5	არჩევითი